ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725267001
თარიღი:24/09/2025

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**მორიგი სხდომის ოქმი N-13**

**დ. ლენტეხი 18 სექტემბერი2025წ**

**მიმდინარე წლის 18 სექტემბერს დღის 11 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 17 (ჩვიდმეტი) წევრი.**

**მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე, მერიის იურიდიული სამსახურის საკრებულოსთან ურთიერთობის გახყოფილების უფროსი ნატო გუგავა, მერიის კულტურის და განათლების სამსახურის უფროსი მედიკო ხვისტანი და ა(ა)ი.პ. კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ბესო გაზდელიანი.**

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. **,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21-აგვისტოს N-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2. **,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

3. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ‘‘ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

4. **ა(ა)ი.პირის ,,კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ ანგარიში მიმდინარე წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: გაერთიანების დირექტორი ბესო გაზდელიანი/

**სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა - რომ მერიიდან დამატებით შემოსულია საკითხი - ,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში**

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე აუცილებელია საკითხის დღის წესრიგში შეტანა.**

**აზრი გამოთქვა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ იაკობ გაზდელიანმა - ფრაქციას მომზადებული აქვს საკითხი - საპატიო ლენტეხელის წოდების მინიჭებაზე და გთხოვთ ეს საკითხიც გათვალისწინებული იქნას სხდომის დღის წესრიგში.**

**სხვა განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.**

**სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.**

**კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე - 17**

**წინააღმდეგი -0**

**დაადგინეს: დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი თანმიმდევრობით:**

1. **,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21-აგვისტოს N-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს. მერიის იურიდიული სამსახურის საკრებულოსთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ნატო გუგავა/

2. **,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

3. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ '' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

4. **ა(ა)ი.პირის ,,კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების" ანგარიში მიმდინარე წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: გაერთიანების დირექტორი ბესო გაზდელიანი/

1. **,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე/

2. **საპატიო ლენტეხელის წოდების მინიჭების თაობაზე.**

   / მომხს: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე იაკობ გაზდელიანი/

   **მოისმინეს:** მერიის იურიდიული სამსახურის საკრებულოსთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ნატო გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი: **,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21-აგვისტოს N-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   **მომხსენებელმა განმარტა, რომ დადგენილებაში ცვლილება შედის მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით.**

   **შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.**

   **დადგენილების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:**

**მომხრე -16**

**წინააღმდეგი -0**

**დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21-აგვისტოს N-16 დადგენილებაში.**

**2. მოისმინეს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარლამენტიდან შემოვიდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის შეზღუდული კომიტეტის თავმჯდომარის რატი იოხათამიშვილის წერილი დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გასასწორებლად. ამწერილის გათვალისწინებით შევიდა ცვლილება დადგენილების მე-6 მუხლში. კერძოდ:**

**შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის N-02 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 010250020.35.115.016425 24.01.2025 წ.) დამტკიცებულ დანართი N-1-ში შემდეგი სახით: 1.დანართის მე-5-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,დ) ყრუ.“ 2.დანართის მე-8-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ე)ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ინფორმაცია გარდაცვლილი მოვლაპატრონობის გარეშე დარჩენილი პირის და განმცხადებლის მიერ გარდაცვლილი მოქალაქის დასაკრძალად გაწეული ხარჯების თაობაზე**

**შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.**

**დადგენილების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.**

**კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე - 17**

**წინააღმდეგი -0**

**დაადგინეს: შევიდეს ცვლილება - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის N-2 დადგენილებაში.**

**3. მოისმინესა:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თორნიკე გასვიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი -

**,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ‘’ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

**დადგენილებაში ცვლილება შევიდა მთავრობის ადმინისტრაციის სამართლებრივი სასიათის შენიშვნების გათვალისწინებით.**

**დადგენილების პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.**

**მომხრე - 17**

**წინააღმდეგი -0**

**დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.**

**4.** გაერთიანების დირექტორმა ბესო გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო **ა(ა)ი.პირის ,,კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ ანგარიში მიმდინარე წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

**აზრი გამოთქვა: გამზა ლიპარტელიანმა - კარგი იქნება, თუ სოფლებში უფრო მასიურად ჩატარდება ღონისძიებები.**

**აზრი გამოთქვა დავით პირველმა - საკმაოდ კარგი და საინტერესო ღონისძიებებია ჩატარებული. შედეგებიც ძალიან კარგია. შეგვიძლია დადებითად შევაფასოთ ანგარიში.**

**მომხრე - 17**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ა(ა)ი.პირის ,,კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ წარმოდგენილი ანგარიში.**

**5.მოისმინეს:** მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე სხდომის წევრებს გააცნო საკითხი **,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხუთ სოფელში - მარგვიშში, ხაცულში, ღობში, მახანაურში და შტვილში მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე შეიცვალა დაგეგმილი პროექტები. (შესაბამისი ოქმები თან ერთვის).**

**საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.**

**სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.**

**კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე -16**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება - ,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში.**

**6.მოისმინეს: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ იაკობ გაზდელიანმა აღნიშნა, რომ - ფრაქციას მომზადებული აქვს საკითხი - საპატიო ლენტეხელის წოდების მინიჭებაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარსადგენი პირების შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა მათი პროფესია, მიღწევები და გაწეული ქველმოქმედება. ეს პირები არიან:**

1. **მეუფე სტეფანე. ჭყონდიდის, ცაგერის და ლენტეხის ეპარქიის მიტროპოლიტი. ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე;**

2. **გაბიანი ბესო- პოლიციის მაიორი-მფრინავი.18 წელია ემსახურება ავიაციას.სამაშველო ოპერაციის ხელ-ლი.დაჯილდოებულია ღირსების ორდენით;**

3. **ეთო ლიპარტელიანი-წარმატებული სპორცმენი ქართველი ქალი, პირველი მსოფლიო ჩემპიონი-2025წ;**

4. **რევაზი გაზდელიანი - ექიმი რეანიმატოლოგი. სამი ათეული წელია მუშაობს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში - ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკა;**

5. **ალვერდი ჩანქსელიანი - მწვანე ეკონომიკა, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, პროფესორი;**

6. **ოლეგი ზურაბიანი - ძიუდოისტი, ევროპის ჩემპიონი და სსრკ მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი;**

7. **ზაური ჩანქსელიანი - ქართველი აგროქიმიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი. გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის სამი სახელმძღვანელო;**

8. **დარეჯან ონიანი - ექიმი გინეკოლოგი. ათეული წელი წარმატებულად იმუშავა ლენტეხის სამშობიარო სახლში, დედაქალაქში გადასვლის შემდეგ გახდა დიდი ფარმაცევტული კომპანიის გენერალური დირექტორი, არის ბიზმესმენი და მეცენატი;**

9. **ნანა ჯანხოთელი - იურისტი, 2016 წლიდან დაინიშნა უვადოდ ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცაგერის რაიონული სასამართლოს მაგისტრანტ მოსამართლედ.**

**2025 წლიდან მუშაობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.**

10. **ნაირა ხაბულიანი -იურისტი, წლების განმავლობაში იყო ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე. ნოტარიუსთა პალატის წევრი. 2000 წლიდან ბიზმესმენი და მეცენატი. შპ.ს კიდობანისა და შ.პ.ს ,,მისანი“ დირექტორი. გასულ წელს სრულად აღადგინა და რეაბილიტაცია გაუკეთა სოფ. მუწდის მთავარანგელოზის სახ. ეკლესიას.**

**საკრებულოს წევრებმა მოიწონეს დასახელებული პირები და ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე -17**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას ფრაქციის ინიციატივა - ,,ლენტეხობა 2025-ზე“ საპატიო მოქალაქის წოდებაზე წარსადგენი პირების შესახებ.**

**საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა დღის 13 საათზე.**

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი